საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 955

25 12 2012 წ.

ქ. თბილისი

საბაზო საფეხურის არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისათვის განკუთვნილი „ქართული, როგორც მეორე ენა“ საგნის სახელმძღვანელოებისათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ

„სახელმძღვანელოს/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ შემთანხმებელი კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და მისი მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 7 დეკემბრის N1209 ბრძანებით დამტკიცებული სახელმძღვანელოს/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ შემთანხმებელი კომისიის 2012 წლის 14 დეკემბრის N2 სხდომის ოქმის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის N30/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესის“ მე-9 მუხლის მე-5[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2012 წლის 3 დეკემბრის N74962 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს გრიფი საბაზო საფეხურის არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისათვის განკუთვნილ „ქართული, როგორც მეორე ენა“ საგნის ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სახელმძღვანელოებს/სერიას.

2. დაევალოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციას (სამსახური) ბრძანების დაინტერესებული პირისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობა, მათ შორის ვებგვერდზე განთავსება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6).

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი მაკა კორძაძე

დანართი

დონე	სახელმძღვანელოს დასახელება	სახელმძღვანელოს სახეები და მათი ავტორები			
		მოსწავლის წიგნი	მოსწავლის რვეული	მასწავლებლის წიგნი	მასწავლებლის წიგნის CD
VII დონე	"ქართული ენა" 7	მაია მელიქიძე, თინათინ ცერაძე	მაია მელიქიძე, თინათინ ცერაძე	თამარ ჯაყელი	მაია მელიქიძე
VIII დონე	"ქართული ენა" 8	მაია მელიქიძე, თინათინ ცერაძე	მაია მელიქიძე, თინათინ ცერაძე	თამარ ჯაყელი	მაია მელიქიძე
IX დონე	"ქართული ენა" 9	მაია მელიქიძე, თინათინ ცერაძე	მაია მელიქიძე, თინათინ ცერაძე	მარიკა სიხარულიძე	მაია მელიქიძე